**სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა**

**მოსამართლეობის კანდიდატის დემეტრე ჯინჯოლიას შეფასების შედეგი:**

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | |
|---|---|
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☑ |

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით** | | |
|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | **მიღებული ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
| სამართლის ნორმების ცოდნა | 23 | **25** |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 23 | **25** |
| წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 19 | **20** |
| პროფესიული თვისებები | 15 | **15** |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 7 | **10** |
| პროფესიული აქტივობა | 1 | **5** |
| **ქულათა ჯამი** | 88 | **100** |

**თარიღი :** 9.12.2025

## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

# ლევანი თევზაძე

**2024 წლის 9 დეკემბერი** **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **დემეტრე ჯინჯოლიას**

## შ ე ფ ა ს ე ბ ა

**1. პროცედურის შესახებ**:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, მოსამართლეთა 38 ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **დემეტრე ჯინჯოლია.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^2$ მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 3 დეკემბერს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

**2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ**:

*საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია*:

კანდიდატი 32 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი, თსუ 2017 წელი), სპეციალობით მუშაობს 9 წელია, კერძოდ:

- 2015 თებერვალი - 2015 აგვისტო, მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სტაჟიორ-პროკურორი;
- 2015 აგვისტო - 2016 თებერვალი, მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის სტაჟიორ-პროკურორი;
- 2016 თებერვალი - 2016 სექტემბერი, ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორი;
- 2016 სექტემბერი - 2018 დეკემბერი, მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორი;
- 2018 დეკემბერი - 2023 ივლისი, გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის (შემდგომში საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის) საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორი;
- 2023 ივლისი - 2024 ნოემბერი, მსმენელი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ, ხოლო გამოკითხული რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

კანდიდატ დემეტრე ჯინჯოლიას შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება ინფორმაცია მის საქმიანობასთან დაკავშირებით. კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

საანგარიშო პერიოდში, კანდიდატი ოთხ შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენისათვის, ასევე - ერთ შემთხვევაში დაჯარიმებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის, აღნიშნული ჯარიმები გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატ დემეტრე ჯინჯოლიას მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია არ არსებობს; კანდიდატი არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი.

დემეტრე ჯინჯოლია არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები - 83/15.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 6.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - *„სისხლის სამართალში* - დემეტრე ჯინჯოლიას, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. *სამოქალაქო სამართალში* - მსმენელს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის

კარგი უნარი. არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებებისა და განჩინებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. გააჩნია მაღალი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ფლობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. არის მიზანმიმართული, მონდომებული, კეთილსინდისიერი და ყურადღებიანი. მას აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული სამართლებრივი მსჯელობა, ახასიათებს აზრის სწორად და ლაკონურად გადმოცემა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების განჩინების პროექტები წერილობით თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. *ადმინისტრაციულ სამართალში* - დემეტრე არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტი. კარგად იცნობს ეროვნულ კანონმდებლობას, საკონსტიტუციო, საკასაციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. რასაც წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. დემეტრე არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლიანი ადამიანი. გააჩნია სამართლებრივი საკითხების ღრმა და ჯეროვანი გააზრების უნარი. სადავო საკითხებზე მსჯელობისას არგუმენტირებულად განმარტავს სამართლის ნორმას, ახდენს მის მისადაგებას დადგენილ ფაქტებისადმი და შესაბამისად იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. გააჩნია კარგი წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარი, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შეუძლია ნათლად, გასაგებად და დამაჯერებლად გადმოსცეს თავისი აზრი, როგორც ზეპირად ასევე წერილობით, აქვს უნარი სათანადოდ განავითაროს სამართლებრივი მსჯელობა და დაასაბუთოს გადაწყვეტილება."

დემეტრე ჯინჯოლიას მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა თუ სასწავლო კურსში (მაგ: 18.11.2022 წ. - ანტი-დისკრიმინაცია, ევროპის საბჭო; 28.11.2022 წ. - არასათანადო მოპყრობის აკრძალვა, ევროპის საბჭო; 05.12.2022 წ. - წინასასამართლო გამოძიება და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭო; 01.02.2023 წ. - სიძულვილის ენა, ევროპის საბჭო; 05.05.2023 წ. - სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, ევროპის საბჭო; 2022 წლის სექტემბერი - 2023 წლის სექტემბერი - ტრენერთა ტრეინინგი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე, ევროპის საბჭო; 27.11.2018 - 29.11.2018 წწ. - სისხლისსამართლებრივ პრობლემებზე მომუშავე ევროპის საბჭოს კომიტეტის (European Committee on Crime Problems - CDPC) რიგით 75-ე კონფერენციის მონაწილე (ქ. სტრასბურგი, საფრანგეთის რესპუბლიკა) და ა.შ.).

დემეტრე ჯინჯოლიას ჩაბარებული აქვს მოსამართლის და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ, თურქულ და რუსულ ენებს.

**3.** *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

კანდიდატს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული.

**4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:**

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის $35^1$ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა და დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ:

საანგარიშო პერიოდში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე სამართალდარღვევის ჩადენა არ ადასტურებს, რომ „კანდიდატს", როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $35^1$ მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი", იმავე მუხლის მე-4 პუნქტით

განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა) მოიცავს. ვინაიდან, სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა ამ პრეზუმფციას, არ გამაჩნია, „კანდიდატი" აკმაყოფილებს ყველა ამ კომპონენტს.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.

კანდიდატი არის პრინციპული, მიუკერძოებელი და სამართლიანი, აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების და პრობლემათა მოგვარების საკუთარ თავზე აღების უნარი.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.

კანდიდატი გამოირჩევა კორექტულობით კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ყოველთვის იცავს სამოსამართლო ეთიკას, ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.

კანდიდატის აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი სამსახურსა და საზოგადოებაში, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ **<u>კანდიდატი დემეტრე ჯინჯოლია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

**5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით**:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასების ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს გააჩნია სისხლის სამართლის მიმართულებით მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ასევე, საერთაშორისო სამართლის სიღრმისეული ცოდნა. ამასთან, ეცნობა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული <u>„სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით, შეეფასე **23 ქულით**</u> **(მაქსიმალური -25);**

კანდიდატს აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი, სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებამდე მუშაობდა საქართველოს პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობაზე. მისი გამოცდილებიდან და შრომისმოყვარეობიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებებს ასაბუთებს ძალიან კარგად.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული <u>„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **23 ქულით** (მაქსიმალური - 25 ქულა);</u>

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - დემეტრე ჯინჯოლიას მიერ მომზადებული გადაწყვეტილებები/საპროცესო დოკუმენტების პროექტების მოწონება შეიძლებოდა, ისინი მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებებს საჭიროებდა. მას გააჩნია აკადემიური წერის მაღალი კულტურა და სამართლებრივი დასკვნების გაკეთებისას ამომწურავად ასაბუთებს საკუთარ

პოზიციებს/დასკვნებს, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობით. იყენებს დადგენილ სასამართლო პრაქტიკას, წერს ლაკონურად და მხარისათვის გასაგებ ენაზე. მან გამოავლინა წერის მაღალი კულტურა როგორც აკადემიური, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით. დემეტრე ჯინჯოლიას შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. ასევე, ზეპირად ამომწურავად გადმოსცემს აზრს.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **19 ქულით, (მაქსიმალური - 20 ქულა);**

კანდიდატი არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე, პუნქტუალური, შეუძლია სტრესულ სიტუაციებში მუშაობა, გააჩნია გუნდური მუშაობისა და გუნდის მართვის უნარი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **15 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);**

კანდიდატი მუდმივად მუშაობს თვითგანვითარებაზე, საუკეთესოდ ფლობს საოფისე კულტურას, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, მონაწილეობა აქვს მიღებული პროფესიული წვრთნის არაერთ პროგრამაში და შეუძლია მიღებული ცოდნის და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება. არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **7 ქულით (მაქსიმალური 10 ქულა).**

კანდიდატი არ მონაწილეობს მართლმსაჯულობის საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციებსა და შეხედულებებს ღიად და თავისუფლად გამოხატავს. არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **1 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).**

*აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 88 ქულას.*

**ლევანი თევზაძე**